განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

უკანასკნელ პერიოდში სამოქალაქო უსაფრთოხების სფეროში, საგანგებო სიტუაციების ეფექტიანი მართვისა და ერთიანი ორგანიზების მიზნით, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. 2017 წლის 14 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად აღმასრულებელ ხელისუფლებაში განხორციელდა სისტემური რეფორმა, კერძოდ კი შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის ბაზაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში შეიქმნა სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულება – ოპერატიული ფუნქციებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი აპარატი – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. საგანგებო სიტუაცია, მასზე მყისიერი რეაგირების აუცილებლობის გათვალისწინებით, მოითხოვს ერთი გამოკვეთილი უწყების არსებობას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საგანგებო სიტუაციაზე ეფექტიან რეაგირებაზე, არსებული რისკების მართვაზე, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული საქმიანობის განხორციელებაზე. აქედან გამომდინარე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური განისაზღვრა, როგორც წამყვანი უწყება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში, შესაბამისად მოქმედ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული რეგულაციები იწვევს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მართვის ორგანოებისათვის დაკისრებულ ფუნქციათა გადაფარვას და უფლებამოსილებების დუბლირებას, რაც ხელს უშლის საგანგებო სიტუაციების დროს ერთიანი მართვის სამსახურის არსებობას და საგანგებო სიტუაციაზე ეფექტურად რეაგირებას. წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი არის განხორციელებული ინსტიტუციური რეფორმის ლოგიკური გაგრძელება. ზემოაღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, პირველ რიგში, აუცილებელი გახდა „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ ახალი კანონის მიღება და სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ინსტიტუციური მოწყობის ახალი მოდელის განსაზღვრა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია სისტემური ცვლილებების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უფრო ეფექტური და მოქნილი მართვის სისტების ჩამოყალიბებას. შესაბამისად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შექმნის შემდეგ, აუცილებელი გახდა ამ სფეროს მარგულირებელი ძირითადი კანონის - „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი

შემუშავება, რაც ემსახურება ქმედითი სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას, მათ შორის საგანგებო სიტუაციების ეფექტიანი პრევენციისა და მათზე რეაგირების უზრუნველყოფას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად ახლებურად ჩამოყალიბდა სამოქალაქო უსაფრთხოების ცნება და სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის არსი. განისაზღვრა, რომ სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი კომპეტენციისა და რესურსების გამოყენებით უზრუნველყოფს, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით (ტექნოგენური) გამოწვეული ინციდენტისაგან/საგანგებო სიტუაციისაგან ადამიანების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების, ობიექტებისა და გარემოს დაცვის მიზნით სათანადო ღონისძიებების კომლექსის განხორციელებას. აღნიშნული სისტემის სუბიექტები არიან, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, ავტონომიური რესპუბლიკები, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორისა და მუნიციპალიტეტის ორგანოები. ეროვნული სისტემის სუბიექტები უზრუნველყოფენ საგანგებო სიტუაციების პრევენციას, მისთვის მზადყოფნას, მათზე რეაგირებას და აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას. კანონპროექტის თანახმად, ეროვნული სისტემის წამყვანი ორგანოა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

კანონპროექტის თანახმად, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაში დახმარების მიზნით იქმნება მოხალისეთა სისტემა. პროექტის თანახმად სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისედ ჩაითვლება პირი, რომელიც დარეგისტრირებულია მოხალისეთა ეროვნულ სიაში. მოხალისეთა ეროვნულ სიაში დარეგისტრირების შემთხვევაში მოხალისესთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. პირი, რომელიც არ არის დარეგისტრირებული მოხალისეთა ეროვნულ სიაში არ აქვს უფლება უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ან საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაციის ღონისძიებებში. აღნიშნული პირი დაიშვება მხოლოდ დამხმარე ფუნქციების შესასრულებლად. მოხალისეთა ეროვნულ სიაში დარეგისტრირებულ მოხალისეს აუნაზღაურდება ყველა შესაბამისი ხარჯი. სამსახური უფლემამოსილია მოხალისეთა სისტემის განვითარების მიზნით სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ტერიტორიაზე შექმნას სპორტული და სასწავლო სივრცეები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში და ამ ინფრასტრუქტურით სარგებლობის საშუალება მისცეს მოხალისეებს.

პროექტის მიხედვით საგანგებო სიტუაციის პრევენცია განისაზღვრა როგორც, გარემოსა და ქონების დასაცავად საგანგებო სიტუაციის რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების, რისკების ან/და მათთან დაკავშირებული უარყოფითი ზემოქმედების შემცირების (მიტიგაციის) ან თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, საინჟინრო-ტექნიკური, სანიტარიულ-ჰიგიენური, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სახის ღონისძიებების ერთობლიობა.

კანონპროექტის თანახმად, ტერმინი „სამოქალაქო უსაფრთხოებას მიკუთვნებული ობიექტები“ შეიცვალა ტერმინით „სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები“.

განისაზღვრება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთა შეტყობინების და ინფორმირების მოქნილი წესი. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთა ინფორმირება ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სპეციალური ლიტერატურითა და საზოგადოების ინფორმირების სხვა ფორმებით.

ეროვნული სიტემის სუბიექტებს ეკისრებათ ვალდებულება მათი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფენ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში რეაგირების ძალებისა და საქართველოს მოქალაქეთა მომზადება და მზადყოფნა სამსახურთან შეთანხმებული პროგრამებით.

„სამოქალქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით არსებითად იცვლება ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის მართვა. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ინციდენტი და საგანგებო სიტუაცია წარმოქმნის ხასიათიდან გამომდინარე იყოფა ბუნებრივ და ადამიანური ფაქტორით (ტექნოგენური) გამოწვეულ ინციდენტებად/საგანგებო სიტუაციებად. მათი კლასიფიკაციის წესს კი ადგენს საქართველოს მთავრობა. დღეს მოქმედი კანონის მიხედვით საგანგებო სიტუაციები იყოფოდა ოთხ კატეგორიად: ტექნოგენური, ბუნებრივი, სოციალური და საომარი. საქართველოს რეალობისა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზის შედეგად ცხადი გახდა, რომ ტექნოგენური, სოციალური და საომარი მდგომარეობის დროს წარმოქმნილი ინციდენტები/საგანგებო სიტუაციები არის ადამიანური ფაქტორით გამოწვეული და ცალ-ცალკე მათი განხილვა მიზანშეუწონელია. ამდენად, განისაზღვრა საგანგებო სიტუაციის ორი კატეგორია: ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული (ტექნოგენური).

წარმოდგენილი კანონპროექტი ახლებურად არეგულირებს საგანგებო სიტუაციების კატეგორიებს. დღეს მოქმედი კანონის მიხედვით საგანგებო სიტუაციის შედეგების მოცულობის, მათი ლიკვიდაციისათვის საჭირო რეაგირების ძალებისა და მატერიალური რესურსების რაოდენობის გათვალისწინებით, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის გავრცელების არეალისა და მასშტაბის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე განისაზღვრება საგანგებო სიტუაციების შემდეგი დონეები: ეროვნული, ავტონომიური, სამხარეო, ადგილობრივი, საობიექტო. კანონპროექტი საგანგებო სიტუაციის შედეგების, მათი ლიკვიდაციისათვის საჭირო რეაგირების ძალებისა და მატერიალური რესურსების რაოდენობის გათვალისწინებით, აგრეთვე, საგანგებო სიტუაციის ხასიათის, ადგილმდებარეობისა და გავრცელების მასშტაბის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე განასხვავებს ორი კატეგორიის საგანგებო სიტუაციას - ადგილობრივი მნიშვნელობისას და ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციას.

კანონპროექტის თანახმად, საგანგებო სიტუაცია არის ადგილობრივი მნიშვნელობის თუ მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მოსალოდნელია, წარმოქმნილია ან/და განვითარებულია საგანგებო სიტუაცია, რომლის მართვისათვის, მისი ხასიათიდან გამომდინარე, საკმარისია ეროვნული სისტემის ერთი სუბიექტის რეაგირების ძალები და საშუალებები ან ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა რეაგირების ძალები და საშუალებები. ხოლო, საგანგებო სიტუაცია არის ეროვნული მნიშვნელობის, თუ მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მოსალოდნელია, წარმოქმნილია ან/და განვითარებულია საგანგებო სიტუაცია:

ა) რომლის მართვა მისი ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ეროვნული სისტემის ერთი სუბიექტის რეაგირების ძალებითა და საშუალებებით ან ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა რეაგირების ძალებითა და საშუალებებით;

ბ) რომლის ზეგავლენა შეიძლება გავრცელდეს ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე და საფრთხე შეუქმნას ადამიანების სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;

გ) რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ეროვნული საგანძურის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნებას, წითელ წიგნში ან წითელ ნუსხაში შეტანილ იშვიათ და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა და მცენარეთა სახეობებს;

დ) რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკას ან გარემოს;

ე) რომლის ლოკალიზაცია/ლიკვიდაცია გრძელდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში;

ვ) რომლის ლოკალიზაცია/ლიკვიდაცია საჭიროებს საერთაშორისო დახმარებას.

ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ ზემოთაღნიშნული მახასიათებლებით ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაცია, სამოქალაქო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ან საგანგებო სიტუაციის რისკის გათვალისწინებით გამოცხადდეს ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციად.

წარმოდგენილი კანონპროექტის სიახლეა ასევე საგანგებო სიტუაციისათვის კატეგორიის მინიჭება. საგანგებო სიტუაციისათვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭება ხორციელდება სამსახურის წარდგინების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საგანგებო სიტუაციის მართვა, მისი ხასიათის გათვალისწინებით, შესაძლებელია დაკავშირებული იყოს გარკვეული რეჟიმების შემოღებასთან, ასევე მისი ლიკვიდაციისაკენ - გარკვეულ დანახარჯებთან და შესაბამისად საჭირო გახდეს ერთჯერადად (საგანგებო სიტუაცაზე რეაგირების მომენტში) დადგენილი ნორმებისგან განსხვავებული წესების შემოღება.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვა, ხორციელდება სტრატეგიულ (პოლიტიკურ), ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეებზე. ეროვნულ მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვას სტრატეგიულ (პოლიტიკურ) დონეზე ახორციელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი, რომელსაც პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს წარუდგენს, აგრეთვე, ორგანიზაციულ, ტექნიკურ და საინფორმაციო-ანალიტიკურ მხარდაჭერას უწევს სამსახური. ოპერაციულ დონეზე მართვას ახორციელებს სამსახური ან სამსახურის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით შექმნილი უწყებათაშორისი ოპერატიული ცენტრი.

რაც შეეხება ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას, მის მართვას ახორციელებს:

ა) ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტი - ისეთი საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, რომლის მართვისათვის, მისი ხასიათიდან გამომდინარე, საკმარისია ეროვნული სისტემის ერთი სუბიექტის რეაგირების ძალები და საშუალებები;

ბ) ადგილობრივი საგანგებო შტაბი – ისეთი საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, რომლის მართვისთვის, მისი ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა რეაგირების ძალები და საშუალებები.

ახალი კანონპროექტი აღარ ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ისეთ დონეებს, როგორციაა ავტონომიური, სამხარეო, ადგილობრივი და საობიქტო დონეები. მათ ნაცვლად დადგინდება ადგილობრივი დონე. კანონპროექტით, ასევე დაწვრილებით არის აღწერილი საველე ოპერაციების შტაბის, ტაქტიკურ დონეზე მართვისა და შიდა უწყებრივი საგანგებო შტაბების შექმნის წესი და უფლებამოსილებები.

წარმოდგენილი პროექტით ასევე დგინდება ფარგლები, რომლის თანახმად, ადამიანური ფაქტორით გამოწვეული საგანგებო სიტუაციის, მათ შორის ტერორისტული საქმიანობით შექმნილი ექსტრემალური სიტუაციის და მის შედეგად გამოწვეული საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვა ხორციელდება „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ასევე ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვა, რომელიც საფრთხეს უქმნის ან აშკარად ხელყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოებასა და მართლწესრიგს და რომელზე რეაგირებაც დაკავშირებულია ძალის, იარაღის ან სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

კანონპროექტის თანახმად, საომარი მდგომარეობის დროს ინციდენტის და საგანგებო სიტუაციის მართვა ხორციელდება ეროვნული თავდაცვის გეგმის შესაბამისად, ხოლო მშვიდობიანობის დროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და შეიარაღებული ძალების ურთიერთქმედების საკითხები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის გეგმით.

პროექტის მიხედვით, საგანგებო სიტუაციის პრევენციის, მზადყოფნის და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში იქმნება ერთიანი საინფორმაციო ბანკი, რომელშიც აისახება ინფორმაცია მოსალოდნელი ან წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის შესახებ, პოტენციურად საშიშ ობიექტების უსაფრთხოების პასპორტის მონაცემები და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ანალიტიკური ანგარიშის მომზადებისათვის სხვა მონაცემები, რაც ხელს შეუწყობს საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და კატასტროფის რისკის შემცირებას.

წარმოდგენილი პროექტით ასევე დარეგულირებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთა ევაკუაცია ან/და თავშესაფრებში მოთავსება, სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო და ბიოლოგიური დაცვისათვის, აგრეთვე ფსიქოლოგიური დახმარებისთვის გამიზნული საკითხები. ასევე მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის საკითხები, რაც გულისხმობს საგანგებო სიტუაციის მართვის დროს საერთაშორისო დახმარების მოთხოვნის გაგზავნის და მოთხოვნის მიღების ორგანიზების ღონისძიებების განხორციელებას.

კანონპროექტის თანახმად, მცირცდება სახანძრო დაცვის სახეობები და ნაცვლად 5 სახისა (სახელმწიფო, მუნიციპალური, საუყწებო, კერძო, ნებაყოფლობითი) იქნება 3 სახის (სახელმწიფო, საუწყებო და კერძო).

ამასთან, ნათლად ჩაიწერა ადგილობრივი და ეროვნული მნიშვნელობის ხანძრის ჩაქრობაზე პასუხისმგებელი ორგანო, კერძოდ, ადგილობრივი მნიშვნელობის ხანძარს მართავს სამსახური, ხოლო ეროვნული მნიშვნელობის ხანძრის მართვა ხორციელდება ამ კანონპროექტის მე-16 მუხლით დადგენილი წესით.

რაც შეეხება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ზედამხედველობის განხორციელებას, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით, იზრდება სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების ნუსხა.

საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობებში, მათ შორის, განსაკუთრებით ადამიანების მასობრივი თავშეყრის ობიექტებზე, ბოლო წლებში მომხდარი ხანძრების შედეგების ანალიზი აშკარად მიგვანიშნებს ამ ტიპის ფუნქციური დანიშნულების შენობებში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის კონტროლის გაძლიერების აუცილებლობაზე.

სასტუმროების, საკლუბო და გასართობ-დასასვენებელი ცენტრების და საზოგადოებრივი კვების ობიექტების (რესტორნები) შენობა-ნაგებობებში ჩატარებული შემოწმებითა და გამოკვლევით დადგინდა, რომ ობიექტებში მთელ რიგ შემთხვევებში უხეშად ირღვევა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები, რომელთა შეუსრულებლობა, როგორც წესი, ხანძრის შემთხვევაში სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სხვა რეგიონებში არსებული სასტუმროების შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის შესწავლით გაირკვა, რომ ამ ობიექტების დიდი უმრავლესობა (ძირითადად ე.წ. ოჯახური ტიპის სასტუმროები) არ წარმოადგენს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისთვის მიკუთვნებულ ობიექტებს, ვინაიდან ამ სასტუმროებში ადგილების რაოდენობა 100 ადამიანზე ნაკლებია და შესაბამისად, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობა ამ ობიექტებზე არ ხორციელდება.

ზემოაღნიშნულის ნათელი მაგალითია 2015 წლის 10 მაისს ქ. ქობულეთში, სასტუმრო „არმაზში“ მომხდარი ხანძარი, რომელმაც სამი ბავშვის სიცოცხლე შეიწირა.

სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებს, ეკრძალებათ ზედამხედველობის განხორციელება იმ ობიექტზე, რომელიც არ არის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისათვის მიკუთვნებული.

სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას მიკუთნებულ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობებში, მათ შორის, განსაკუთრებით ადამიანების მასობრივი თავშეყრის ობიექტებზე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებისთვის, სახანძრო ზედამხედველობას მიკუთვნებულ ობექტებად მიზანშეწონილია განისაზღვროს „საკლუბო და გასართობ-დასასვენებელი ცენტრების, სასტუმროების, ტურისტული ბაზების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, კემპინგებისა და საზოგადოებრივი კვების (რესტორანი) შენობა-ნაგებობები“, მიუხედავად მათი ფართობისა და შენობებში ერთდროულად მყოფ ადამიანთა რაოდენობისა.

ამასთან, აუცილებელია სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას დაექვემდებაროს თბო- და ჰიდროელექტროსადგურების შენობა-ნაგებობები მათ ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებადი ნივთიერებისა და მასალების ხანძარაფეთქებასაშიშროების გათვალისწინებით.

უკანასკნელ წლებში ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის გეგმის რეალიზებისათვის გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლის შესაბამისადაც მიმდინარეობს ან იგეგმება რამდენიმე ათეული თბო- და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან მათთვის უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობების შექმნაზე ზრუნვა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს.

კანონპროექტით უცვლელი რჩება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სტატუსი - საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე, კოორდინაციას უწევს ეროვნული სისტემის ფუნქციონირებას. ამასთან კონკრეტდება, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური შედგება სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან, რომლებშიც მუშაობენ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები და სხვა საჯარო მოსამსახურეები. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სტრუქტურა, უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და სხვა ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულებით, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. კანონპროექტის თანახმად, დადგინდა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის წარდგინებით აფუძნებს საქართველოს მთავრობა.

კანონპროექტით დადგინდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, კერძოდ კი:

- ✓ კანონის უზენაესობა;
- ✓ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა;
- ✓ გამჭვირვალობა;
- ✓ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი;
- ✓ ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა;
- ✓ თანაზომიერება;
- ✓ სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა;
- ✓ ჰუმანიზმი;
- ✓ ჩართულობა და თანამშრომლობა;
- ✓ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება;
- ✓ ანგარიშვალდებულება.

კანონპროექტით დეტალურად განისაზღვრება, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ფუნქციები, კერძოდ კი:

- ➢ ეროვნულ სისტემაში შემავალ სუბიექტებთან კოორდინაციით სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და საქართველოს

მთავრობისთვის შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებისა და ეროვნული მნიშვნელობის დოკუმენტების პროექტების წარდგენა;

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფის და ეროვნული სისტემის განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება და ეროვნული სისტემის სხვა სუბიექტებისა და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია და უშუალო განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში; სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის უშუალო განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში და მისი განხორციელების მონიტორინგი;
- ეროვნული სისტემის მონაწილე სახელმწიფო უწყებების მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ეროვნული კონცეპტუალური დოკუმენტებიდან გამომდინარე უწყებრივი კონცეპტუალური დოკუმენტებისა და უწყებრივი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაცია;
- ეროვნული სიტუაციური ოთახის მუდმივი მზადყოფნისა და ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო ვითარების დროს ამ კანონის შესაბამისად მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე დაუყოვნებლივი რეაგირების მიზნით სახანძრო-სამაშველო/სამაშველო დანაყოფების ორგანიზება და განვითარება, სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციების მართვის კოორდინაცია, გარდა ამ კანონპროექტით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, რეაგირების ძალების მართვის ორგანიზება და სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება;
- ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციის კოორდინაცია კომპეტენციის ფარგლებში, გარდა კანონპროექტით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა; პრემიერ-მინისტრის, მის მიერ უფლებამოსილი პირის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- საომარი მდგომარეობის დროს კომპეტენციის ფარგლებში ეროვნული თავდაცვის გეგმითა და სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულება;
- საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების მიზნით რისკების მუდმივი იდენტიფიცირება, ანალიზი და შეფასება, პრევენციული ღონისძიებებისა და პროექტების დაგეგმვა და განხორციელება სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან თანამშრომლობით;
- მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციის შესახებ ადრეული შეტყობინების სისტემის შექმნის ორგანიზება და განვითარება, ადრეული შეტყობინების სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო მონაცემების შეგროვება და დამუშავება;
- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში ლეგალურად მყოფი პირების ნებაყოფლობით ჩართვის ორგანიზება, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისეობის სისტემის განვითარების ხელშეწყობა;

- სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ზედამხედველობის განხორციელების უზრუნველყოფა და გამოვლენილ დარღვევებზე სათანადო რეაგირება;
- სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მართვა, ქვეყანაში სტრატეგიული დანიშნულების პროდუქტების კუთხით არსებული ვითარების მონიტორინგი და ანალიზი, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სფეროში პოლიტიკის შემუშავება და საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობისთვის წინადადებების და სამართლებრივი აქტების პროექტების წარდგენა;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული ვითარების მუდმივი ანალიზი და პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის წევრების პერიოდული ინფორმირება ვითარების შესახებ, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის შესაბამისი ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდება;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო სერვისების განხორციელება;
- კომპეტენციის ფარგლებში, სხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით, მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის სისტემის ორგანიზება;
- საგანგებო სიტუაციების შესახებ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების, საკომუნიკაციო გეგმებისა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

კანონპროექტის თანახმად, სამსახური ასევე უფლებამოსილი ხდება, საჭიროების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან შეთანხმებით დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, მოახდინოს სამსახურის მონაცემთა ბაზაში წინასწარ დარეგისტრირებული საამისო უნარების მქონე ვეტერანების მობილიზება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ოპერაციებში ჩართვა.

საკანონმდებლო პაკეტით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ცალკეული ფუნქციების შესასრულებლად იქმნება სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახლემწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო, რომლის საქმიანობის მიზნად განისაზღვრება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების გაწევა, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მართვასთან, შექმნასთან, შენახვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული საოპერაციო პროცედურების განხორციელება, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განვითარების ხელშეწყობა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციების განხორციელება.

კანონპროექტით დაზუსტდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მართვის წესი და განისაზღვრა სამსახურის უფროსის უფლებამოსილებები. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე, რომლებსაც სამსახურის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. კანონპროექტის თანახმად, სამსახურის მიერ საქართველოს

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების და სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობას გაუწევს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

კანონპროექტით, სამსახურში მიღების ზოგადი წესი რჩება უცვლელი. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურედ დაინიშნება/მიიღება საქართველოს მოქალაქე/უცხოელი 18 წლის ასაკიდან, რომელმაც იცის საქართველოს სახელმწიფო ენა, მიღებული აქვს არანაკლებ სრული ზოგადი განათლება, თავისი პიროვნული და საქმიანი თვისებების, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური მომზადების გათვალისწინებით შეუძლია დაკისრებული ფუნქციების შესრულება და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს. უცხოელი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურედ შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად.

უცვლელი რჩება მოსამსახურის სამსახურში მიღებისა და მის მიერ სამსახურის გავლისათვის დადგენილი შეზღუდვები (მაგალითად როგორიცაა განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის სამსახურში მიღების შეზღუდვა და სხვა). მოსამსახურეს უფლება არ აქვს მონაწილეობა მიიღოს გაფიცვაში.

კანონპროექტით დადგინდა, სამსახურში იმ თანამდებობაზე მიღების სპეციალური წესი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო სპეციალურ წოდების მინიჭებას. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შტატით გათვალისწინებულ იმ თანამდებობაზე, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო სპეციალურ წოდების მინიჭებას, პირი დაინიშნება სპეციალური კონკურსის შედეგად. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შტატით გათვალისწინებულ იმ თანამდებობაზე დანიშვნისას, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო სპეციალურ წოდების მინიჭებას, პირი ექვემდებარება სპეციალურ შემოწმებას. სპეციალური შემოწმება არის პირის პერსონალური მონაცემების გადამოწმება/მოძიება. შემოწმების დაწყებამდე კანდიდატი პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობაზე წერილობით აცხადებს თანხმობას.

საკანონმდებლო პაკეტით განისაზღვრა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური კადრების მომზადებას ახორციელებს შესაბამის სტრუქტურული ქვედანაყოფის მეშვეობით, აგრეთვე სხვა საჯარო სამართლის ან კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. მეხანძრე-მაშველი სამსახურში მიღებისას თანამდებობაზე დანიშვნამდე ან თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ გადის საბაზისო სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, გარდა იმ პირებისა, რომელსაც გავლილი აქვთ სახანძრო ან/და სამაშველო მიმართულების რომელიმე სპეციალური მომაზადების კურსი ან პროფესიული პროგრამა ან/და მუშაობდნენ სახანძრო-სამაშველო დანაყოფებში და ამ კურსის ან პროგრამის გავლიდან ან სამსახურებრივი ურთიერთობების შეწყვეტიდან გასული არის არა უმეტეს 5 წლისა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უფლებამოსილია განსაკუთრებულ შემთხვევაში მეხანძრ-მაშველი სასწავლებლად მიავლინოს სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამ შემთხვევაში სამსახურსა და მეხანძრე-მაშველს შორის იდება შეთანხმება. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს იმ მოსამსახურეების მომზადება და გადამზადება, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები მოიცავს საგანგებო სიტუაციის მართვაში უშუალო მონაწილეობას.

დაზუსტდა მოქმედ კანონში არსებული ჩანაწერები მოსამსახურის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებთან მიმართებით. მკაფიოდ განისაზღვრა, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საგანაგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურე

ხელისუფლების წარმომადგენელია და მას იცავს სახელმწიფო. არავის აქვს უფლება, ჩაერიოს მოსამსახურის სამსახურებრივ საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურისთვის ხელის შეშლა, მისი პატივისა და ღირსების შელახვა, მის მიმართ მუქარა, ძალადობა, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ან მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. მოსამსახურეს, რომელიც უარს ამბობს, შეასრულოს აშკარად უკანონო ბრძანება ან განკარგულება, პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, ხოლო აშკარად უკანონო ბრძანების ან განკარგულების მიმცემ პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით. მოსამსახურეს უფლება აქვს, თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად უშუალოდ მიმართოს სასამართლოს.

კანონპროექტით რეგულირდება, მოსამსახურის მიერ იარაღის ტარების და გამოყენების წესი. კერძოდ, განსაკუთრებულ შემთხვევაში დავალების ხასიათიდან გამომდინარე სამსახურის საამისოდ უფლებამოსილ მოსამსახურეს უფლება აქვს შეინახოს, ატაროს ან/და გამოიყენოს სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი. მოსამსახურეს უფლება აქვს, უკიდურესი ღონისძიების სახით გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ დაუსახლებელ ადგილას, სხვა პირისა ან/და საკუთარი თავის დასაცავად, როდესაც საფრთხე ექმნება სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან საშიში ცხოველის თავდასხმისაგან ადამიანის დასაცავად. მოსამსახურე ვალდებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო უფროსს.

კანონპროექტით, უცვლელი რჩება სამსახურის მოსამსახურის სოციალური დაცვის გარანტიები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი აკეთებს ზუსტ ჩამონათვალს ეროვნული სისტემის სუბიექტებისა, რომელთა ერთიანი ქსელი არის პასუხისმგებელი სამოქალაქო უსაფთხოების დაცვასა და შესაბამის დონეზე კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებაზე. ამასთან მოქმედი კანონიც ითვალისწინებდა აღნიშნულს მხოლოდ ერთიანი სისტემის ცნების ქვეშ რაც დაფინანსების მხრივ რჩება უცვლელი.

ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით, ეროვნული სისტემის სუბიექტები, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფენ მატერიალური რესურსების შექმნას. აღნიშნული ჩანაწერი შეეხება რეაგირების ძალებსა და საშუალებებს, მაგალითად სასწრაფო დახმარების ან/და სახანძრო მანქანა, ტრაქტორი, საწვავი, ტექნიკური აღჭურვილობები, რომლებიც, როგორც წესი, მორეაგირე უწყებებს უკვე აქვთ ბალანსზე და რომელთა განახლება ხდება ტექნიკური ცვეთის შესაბამისად. ამ ეტაპზე საჭიროებების დათვლა შეუძლებელია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს რესურსები ამ უწყებებისათვის ბიუჯეტის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში უკვე შექმნილია და გეგმიურად განახლდება.

მოხალისეთა გადამზადების მიმართულებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური გეგმავს დაახლოებით 300-მდე მოხალისის გადამზადებას, აღნიშნული მოხდება სამსახურისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებისა და დონორი

ორგანიზაციების მხარდაჭერით. ამასთან, მოხალისეებს სამსახურის ბალანსზე არსებული ექსპლუატაციაში მყოფი აღჭურვილობა გადაეცემათ. რაც შეეხება მოხალისეთა გადამზადებას, დღეის მდგომარეობით სასწავლო მოდულები არ არის შემუშავებული ვინაიდან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს კანონპროექტის შედეგად ენიჭება ზემოაღნიშნული უფლებამოსილება. ამასთან, საკანონმდებლო პაკეტის თანახმად 2019 წლისათვის იგეგმება სასწავლო ცენტრის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მოხალისეთა გადამზადებას, მანამდე კი ეს პერიოდი დაეთმობა შესაბამისი სასწავლო მოდულებისა და დონორი ორგანიზაციების ჩართულობით სხვადასხვა სახის პროგრამების შემუშავებას. ამასთან შეუძლებელია იმის განსაზღვრა ყოველწლიურად თუ რამდენი ადამიანი გამოთქვამს მოხალისეობის სურვილს, ასევე, რამდენი მოხალისის დაზიანების შემთხვევა დაფიქსირდება, რის საფუძველზეც მოხალისეები ისარგებლებენ შესაბამისი სოციალური გარანტიებით.

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმითა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებები ფინანსდება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტის ორგანოების ბიუჯეტებიდან და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით, იხილეთ აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილი სახსრები:

<u>ათას ლარებში</u>

ორგ. კოდი	დასახელება	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი
21 00	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	82,010.0	81,910.0	63,910.0	63,910.0

სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებებს ორგანიზაციები ამ კანონის შესაბამისად მათთვის მინიჭებული უფლებებისა და დაკისრებული მოვალეობების ფარგლებში აფინანსებენ საკუთარი სახსრებით, ხოლო საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და სამედიცინო დაწესებულებები – შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე. რაც შეეხება დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი სახსრების საჭიროების საკითხს, აღნიშნული ნორმა არსებობს მოქმედ კანონშიც - მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი, შესაბამისად აღნიშნული რეგულაცია არ წარმოადგენს სიახლეს ამ ორგანიზაციებისათვის და არ გამოიწვევს მათთვის გაუთვალისწინებელი ხარჯების წარმოქმნას.

საგანგებო სიტუაციის პრევენცია სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად ასევე მოიცავს ადამიანთა ცნობიერების ამაღლების მიზნით საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ცნობიერების ამაღლების აუცილებლობის რეგლამენტირება საკანონმდებლო დონეზე სიახლეს წარმოადგენს, თუმცა უკანასკნელი წლების განმავლობაში აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება პრაქტიკაში აქტიურად მიმდინარეობდა. მაგალითისათვის, საჯარო სკოლებში მოსწავლეებისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით ტარდებოდა „უსაფრთხოების ათი გაკვეთილი“, რომელზეც გამოყენებული იყო შიდა **ადამიანური რესურსები** - გაკვეთილებს ატარებდნენ

მეხანძრე-მაშველები, შესაბამისად აღნიშნული პროექტების განხორციელება მომავალშიც არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

საგანგებო სიტუაციის დროს, როდესაც საფრთხე ექმნება/შესაძლოა შეექმნას ადამიანის სიცოცხლესა ან/და ჯანმრთელობას, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია, რომელიც ახორციელებს მობილური საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფას ან/და მომსახურებას და საზოგადოებრივი მაუწყებელი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით უზრუნველყოფენ საქართველოს მოქალაქეთათვის და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთათვის საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინებისა და ინფორმაციის გადაცემას. მაუწყებლისა და ელექტორნული კომუნიკაციის კომპანიის მიერ მოსახლეობისათვის შეტყობინების მიწოდება წარმოადგენს ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას განვითარებულ ქვეყნებში, ამასთან საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ინფორმაციის გაშუქება მოხდება საინფორმაციო გამოშვების ფორმატში, რაც ადრეც ხორციელდებოდა, თუმცა ამას არ ჰქონდა ვალდებულებითი ხასიათი.

რაც შეეხება ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის მართვას, როგორც უწყებათაშორისი ცენტრი, ასევე საგანგებო შტაბები არ წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს და იქმნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის მიზნით, შესაბამისად აღნიშნულ ცენტრში/შტაბში მონაწილეობა არ წარმოადგენს დამატებითი ანაზღაურების გადახდის საფუძველს და იგი ხორციელდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ანაზღაურების გარეშე.

ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის სტრატეგიული (პოლიტიკური) და ოპერაციული მართვა შეიძლება განხორციელდეს ეროვნული სიტუაციური ოთახის გამოყენებით, რომლის ფუნქციონირებასაც უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. ეროვნული სიტუაციური ოთახი არის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების შეკრების ადგილი, საიდანაც უშუალოდ ხორციელდება ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის მართვა. აღნიშნული ოთახი ინფრასტრუქტურულად გამართული და მოწყობილია და ფუნქციონირებდა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შემდგომ აღნიშნული ოთახი გადაეცა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, შესაბამისად მისი ფუნქციონირება არ საჭიროებს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია, კერძოდ კი 23-ე მუხლი ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებებს, შესაბამისად არსებული სისტემა უკვე არსებობს და ახალი კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

პროექტის თანახმად აღდგენითი სამუშაოები ხორციელდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის დასრულების ფაზაში ან მისი დასრულებისთანავე. საქართველოს მთავრობის 508-ე დადგენილებით დამტკიცებულია ეროვნული გეგმა, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი აღნიშნული სამუშაოების სახეები. საკანონმდებლო პაკეტის შემუშავებისას გადაწყვეტილება იქნა მიღებული კანონქვემდებარე აქტის გარდა საკანონმდებლო დონეზეც ყოფილიყო აღნიშნული საკითხები გაწერილი, რაც

შეეხება აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას, ეს ღონისძიებები ახალი კანონის მიღებამდეც ხორციელდება და შესაბამისად ახალი კანონის ამოქმედება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან და აღნიშნული დაფინანსდება სამსახურისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან. რაც შეეხება საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების განხორციელების კოორდინირებას, აღნიშნულს უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, რაც ასევე არ საჭიროებს დამატებით ადამიანურ თუ ფინანსურ რესურსებს.

პროექტით განსაზღვრულია სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტები. აღნიშნული ობიექტების ზრდის მიუხედავად რეორგანიზაცია/ოპტიმიზაციის შედეგად საზედამხედველო ფუნქცია ერთიანდება ერთი სტრუქტურული დანაყოფის ქვეშ (დღეს არსებული საშტატოს მიხევით ზედამხედველები გაფანტულია რეგიონების მიხევით), რაც მათი სამუშაოს დროის უფრო ეფექტურად გადანაწილებასა და დაგეგმვის სწორად წარმართვას ხდის შესაძლებელს. ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელება იგეგმება არსებულ საშტატო ერთეულზე დასაქმებულ პირების მეშვეობით, რაც ასევე არ გამოიწვევს ფამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფას. ამასთან, ზემოაღნიშნული პირები საზედამხედველო ფუნქციის გარდა ასევე ასრულებენ სხვა ფუნქცია-მოვალეობებსაც, ცვლილების შედეგად აღნიშნული პირები გადანაწილდებიან შესაბამისი ფუნქციის მქონე სტრუქტურულ ერთეულებში, რაც ასევე არ გამოიწვევს საბიუჯეტო სახსრების დაზოგვას.

კანონპროექტის 39-ე მუხლით გათვალისწინებული ფუქციების შესასრულებლად საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, დაფინასნება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, რაც უკვე გაწერილია 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში, ყოველი მომდევნო წლის ხარჯების დაანგარიშება მოხდება შესაბამისი წლის ბიუჯეტით.

კანონპროექტით განსაზღვრულია, რომ სამსახურმა აწარმოოს საგანგებო სიტუაციის და მათი შედეგების ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვა და სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგება, ვინაიდან საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო უქმდება, მოხდება სააგენტოსა და სამსახურის ადამიანური და ფინასური რესურსის გაერთიანება. რეფორმის განხორციილეების შემდგომ კი მოხდება შესაბამისი საჭიროებების განსაზღვრა და სტრუქტურული ერთეულების საშტატო რიცხოვნობის დადგენა რაც განხორციელდება არსებული საშტატო რიცხოვნობის ფარგლებში, რაც გულისხმობს, რომ არ მოხდება ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოშობა და საბიუჯეტო თანხების დაზოგვა.

პროექტის თანახმად იქმნება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო, საგანგებო სიტუაციების სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო მატერილაური რეზერვების დეპარტამენტისა და საგანგებო სიტუაციების მართვის საგენტოს ბაზაზე, რაც არ გამოიწვევს დამატებითი რესურსების გამოყოფას. რაც შეეხება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებულ მომსახურების საფასურებს, აღნიშნული განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის N138 დადგენილებით. 2017 წლის მონაცემებით სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი მომსახურებით მიღებული ფულადი სახსრები შეადგენს 211 763 ლარს საიდანაც 32 302 ლარი

მიმართული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში დღგ-ს სახით. მიმდინარე წელს კი - 80 000 ლარს საიდან - 12 203 ლარს.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსებას, დღეის მდგომარეობით მეხანძრე მაშველთა გადამზადება ხორციელდება შსს აკადემიის მიერ, რეფორმის შემდგომ იგეგმება სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის სახით. აღნიშნული არ გამოიწვევს საშტატო რიცხოვნობისა და საბიუჯეტო სახსრების ზრდას, ვინაიდან რეფორმის შედეგად, ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეული იქმნება არსებული საშტატო რიცხოვნობისა და ინფრასტრუქტურის ფარგლებში.

კანონპროექტით განსაზღვრულია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებს უფლება ექნებათ გნსაკუთრებული დავალების შესრულების მიზნით ატარონ ცეცხლსასროლი იარაღი. ამასთან, სამსახურის ბალანსზე უკვე ირიცხება შესაბამისი რაოდენობის ცეცხლსასროლი იარაღი და დამატებით შესყიდვა არ იქნება საჭირო.

საკანონმდებლო პაკეტის თანახმად, თუ მოსამსახურე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის იყენებს სახელმწიფო ან პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებას, ამ სატრანსპორტო საშუალებას საწვავით უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედი რედაქციის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების საწვავით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურება ხდებოდა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან, შსს-სათვის დადგენილი რეგულაციების საფუძველზე, განხორციელებული ცვლილებიების შემდგომ მისი ანაზღაურება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან **სამსახურისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.**

კანონპროექტის 61-ე მულხით განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების მართვის მოსამსახურეთა სოციალური დაცვის გარანტიები, რაც შეეხება მოსამსახურეთა მომზადებისა და გადამზადების საკითხებს, აღნიშნული გაიწერება 5 წლიან სამოქმედო გეგმაში, რომლის მიხედვითაც დაიგეგმება გადასამზადებელი თანამშრომლების რაოდენობა, კურსის ხანგრძლივობა და სასწავლო ელემენტები, ამ ეტაპისათვის აღნიშნული შემუშავებული არ არის და შესაბამისად ხარჯების დათვლა შეუძლებელია, ვინაიდან ამ მიმართულებით მოქმედი კანონის ფარგლებში სამსახურს ეს უფლებამოსილება არ ჰქონდა, შესაბამის სამუშაოები არ ხორციელდებოდა, ასევე არ ჰყავდა სპეციალისტები აღნიშნული მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ არც სხვა რომელიმე ინსტიტუტი პრაქტიკულად არ ახორციელებდა მეხანძრე-მაშველთა მომზადებას. ამ მიზნებისათვის ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფის საჭიროება არ არსებობს და პროგრამების დაფინანსება მოხდება სამსახურისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებისა და დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში.

თუ მოსამსახურეს სასწავლო შვებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინიციატივით მიეცემა, ამ შემთხვევაში მას სრულად უნაზღაურდება სასწავლო შვებულებასთან დაკავშირებული შესაბამისი ხარჯები, რაც არ გამოიწვევს საბიუჯეტო სახსრების ზრდას, ვინაიდან სამსახურის ინიციატივით სასწავლო შვებულების უფლებით სარგებლობას ექნება საგამონაკლისო ხასიათი და აღნიშნული დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კანონპროექტი არ ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა კადრების განკარგულებაში აყვანას. ის პირები ვინც ამ პერიოდში სამსახურის სისტემაში დასაქმებული არიან შრომითი ხელშეკრულებით, სამსახურში მუშაობას გააგრძელებენ სამსახურის საჭიროებებიდან გამომდინარე მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ვადით.

კანონის პროექტით განისაზღვრა, რომ „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზიანებისას, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უზრუნველყოფს მოსამსახურის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას". იმის გათალისწინებით, რომ მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება დამოკიდებულია ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხზე და სპეციფიკაზე, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს რა გავლენა ექნება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. ამასთან, საგულისხმოა, რომ კანონის პროექტით ამოღებულ იქნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში ერთჯერადი ფულადი დახმარების 2000 ლარიანი კომპესაციის ოდენობა. ვინაიდან მოსამსახურეს ნებისმიერი მსუბუქი დაზიანების შემთხვევაში ჰქონდა უფლება მოეთხოვა აღნიშნული ოდენობის (2000 ლარი) თანხა მიუხედავად მის მიერ გაწეული დანახარჯებისა. ზემოთ მითითებული ცვლილებით ჯანმრთელობის დაზიანების შემთხევაში მოსამსახურე ექნება ვალდებულება წარმოადგინოს კონკრეტული ხარჯის გაწევის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი, რა შემთხვევაშიც აუნაზაღაურდება მკურნალობის ხარჯი. აღნიშნული წარმოადგენს ეფექტიან ბალანსს რათა შეძლებისდაგვარად მიზანშეწონილობის გათვალისწინებით მოხდეს ბიუჯეტის გათვალისწინებული ფინანსების ხარჯვა.

კანონის მიღებების შემდგომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში დაიწყება რეორგანიზაცია/ ლიკვიდაციის პროცესი, რომლის ფარგებში განხორციელდება სსიპ საგანგებო სიტუაციების მართის სააგენტოს ლიკვიდაცია, როგორც სამართლებრივი სუბიექტის და მისი ფუნქციამოვალეობების გადანაწილებას საგანეგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში შერწყმის პროცესის შედეგად. ხოლო მოსამსახურეები, რომელნიც დასაქმებულია არიან დღეის მდგომარეობით სააგენტოში, შეთავაზების შემდგომ მუშაობას განაგრძოებენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახლად ჩამოყალიბებულ სისტემაში, იმის გათვალისწინებით, რომ არ იცვლება და არ მცირდება არც ფუნქცია მოვალეობების ნაწილი და არც ადამინური რესურსი ადგილი ვერ ექნება ბიუჯეტიდან თანხების დაზოგვის საკითხს. კანონის პროექტის თანახმად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური შედგება სტრუქტურული ქვედანაყოფებისგან და მას არ ჰყავს დამოუკიდებელი ტერიტორიული ორგანოები, თუმცა აღნიშნული სტრუქტურული ქვედანაყოფების შემადგენლობაში იქნება ტერიტორიული ერთეულები, რათა ეფექტიანად მოხდეს ხანძრის ქრობა და სხვა საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება. აღნიშნული არ იწვევს საშტატო რიცხოვნობისა და საბიუჯეტო დაფინანსების ცვლილებას.

კანონპროექტით განსაზღვრულია ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა, რომელიც საჭიროებს ახალი პროგრამული უზრუნველყოფის სისტემას, რომელსაც შექმნის სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტები და აღნიშნულს დააფინანსებს თავად სამსახური ბიუჯეტის კანონით შრომის ანაზღაურების მუხლით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, შესაბამისად არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების შედეგად გამოწვეული ხარჯები საჭიროების შემთხვევაში დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და დონორი ორგანიზაციებიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს რაიმე სახის გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ეროვნული სისტემის სუბიექტების ერთიანი ქსელი არის პასუხისმგებელი სამოქალაქო უსაფთხოების დაცვასა და შესაბამის დონეზე კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებაზე. ამასთან მოქმედი კანონიც ითვალისწინებდა აღნიშნულს მხოლოდ ერთიანი სისტემის ცნების ქვეშ რაც არ გამოიწვევს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

მოხალისეთა სისტემის დანერგვის შემთხვევაში, ფინანსური მხარდაჭერა მოხდება როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ასევე დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.

სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებებს ორგანიზაციები ამ კანონის შესაბამისად მათთვის მინიჭებული უფლებებისა და დაკისრებული მოვალეობების ფარგლებში აფინანსებენ საკუთარი სახსრებით, ხოლო საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და სამედიცინო დაწესებულებები – შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე, ვინაიდან ეს ჩანაწერი ისედაც არსებობდა მოქმედ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში, არ წარმოიშვება ახალი ვალდებულება და შესაბამისად, აღნიშნული ფორმულირება არ გამოიწვევს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

საგანგებო სიტუაციის პრევენციის კუთხით ადამიანთა ცნობიერების ამაღლების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ვინაიდან დღეის მდგომარეობით ზემოაღნიშნული სახის პროექტები მიმდინარე რეჟიმშიც ხორციელდება სამსახურის შესაბამისი თანამშრომლების მიერ.

ეროვნული სიტუაციური ოთახი ინფრასტრუქტურულად გამართული და მოწყობილია და ფუნქციონირებდა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შემდგომ აღნიშნული ოთახი გადაეცა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, შესაბამისად მისი ფუნქციონირება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ზეგავლენას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას მოხალისეთა მიერ, სადაც განსაზღვრულია მოხალისეთა ჯანმრთელობის დაზიანების/გარდაცვალების შემთხვევაში სოციალური დაცვის გარანტიებიც, თუმცა სამსახური მიიღებს ყველა შესაძლო ზომას, რომ

მოხალისეებს არ მოუწიოთ მოქმედება ისეთ ზონებში, სადაც შეიქმნება საფრთხე მათი ჯანმრთელობის დაზიანებისა. აქამდე განხორციელებული სამაშველო ღონისძიებების მიმდინარეობისას არც ერთი მოხალისის დაზიანების ან გარდაცვალების ფაქტი არ დაფიქსირებულა. იგივე შეიძლება ითქვას თანამშრომლებთან დაკავშირებითაც, რომლებშიც მიუხედავად მრავალი მასშტაბური სახანძრო და სამაშველო ღონისძიებისა დაფიქსირებულია გარდაცვალების მხოლოდ ერთი შემთხვევა 2015 წელს თბილისის წყალდიდობისას. აქედან გამომდინარე ამ ეტაპზე ამ მონაცემების პროგნოზირება შეუძლებელია, თუმცა ზემოაღნიშნული გამოცდილება საფუძველს გვაძლევს მაღალი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ არცერთი მოხალისის დაზიანების ან გარდაცვალების ფაქტი სახეზე არ იქნება.

რაც შეეხება მოსალოდნელ ფინანსურ გავლენას ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებზე რომელებიც ახორციელებენ მობილური საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფას ან/და მომსახურებას, საგანგებო სიტუაციის არსებობის შემთხვევაში მოსახლეობის ინფორმირების კუთხით, ამ მიმართულებით მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია, ხოლო მათი ხარჯი დამოკიდებული იქნება წლის განმავლობაში მომხდარი საგანგებო სიტუაციების რაოდენობასა და ხასიათზე.

კანონის პროექტის თანახმად, იზრდება ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტთა წრე, შესაბამისად, მაგალითად, საოჯახო სასტუმროებს სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფისათვის შესაძლოა მოუწიოთ სხვადასხვა ხარჯების გაწევა, რომლისთვისაც მათ მიეცემათ გონივრული ვადა. ამ ვადის გასვლის შემდეგ უსაფრთხოების ნორმების დაუცველობისათვის შესაძლებელია მოხდეს მათი დაჯარიმება, თუმცა აღნიშნული ფინანსური შედეგების დათვლა წინასწარ შეუძლებელია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

საკანონმდებლო პაკეტი ექსპერტიზისთვის გაეგზავნა ევროკავშირის შესაბამისი პროექტების ექსპერტებს, ნატოში, თავდაცვის თანამშრომლობის ოფისს (აშშ) და ბრიტანეთის მთავრობას. ექსპერტების დასკვნები წარმოდგენილი იქნება საპარლამენტო განხილვის ეტაპზე.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.